


# კოსმონავტ გ. ს. ტიტოვის ბიოგრაფია

გერმანე სტეფანეს ძე ტიტოვი დაიბადა 1935 წელს ალტაის მხარის კოსიხის რაიონის სოფელ ვერხნეე ჟილინოში საშუალო სკოლის მასწავლებლის ოჯახში. ეროვნებით რუსია. 1943 წელს შევიდა კოსიხის რაიონის კოლმეურნეობა „მაისის დილის" დაწყებით სკოლაში, სადაც დედამიხი ომის დასაწყისში გადავიდა.

1950 წელს დაამთავრა კოსიხის რაიონის სოფელ პოლკოვნიკოვოს შვიდწლიანი სკოლა, შემდეგ კი ამავე რაიონის ნალობიხის საშუალო სკოლა.

გ. ს. ტიტოვი 1949 წელს შევიდა სრულიად საკავშირო ალკკ რიგებში.

1957 წელს დაამთავრა მფრინავთა სამხედრო-საავიაციო სასწავლებელი პირველი თანრიგით — „ფრიადზე" ჩააბარა გამოცდები პილოტირების ტექნიკაში.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ტიტოვი სამსახურის გასავლელად [illegible] ლენინგრადის სამხედრო ოლქში. სასწავლო-საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში წარმატებებისა და სანიმუშო მხედრული დისციპლინისათვის სრულიად საკავშირო ალკკ ლენინგრადის საოლქო კომიტეტმა იგი ორი სიგელით დააჯილდოვა.

ამხ. ტიტოვი სკკპ წევრობის კანდიდატია.

იგი ცოლიანია. მისი მეუღლე — თამარ ვასილის ასული დაბადებულია 1937 წელს.

მამა — სტეფანე პავლეს ძე, დაბადებულია 1910 წელს, რუსულ ენასა და ლიტერატურას, შემდეგ კი გერმანულ ენას ასწავლიდა ალტაის მხარის სოფელ პოლკოვნიკოვოს შვიდწლიან სკოლაში, 1961 წლიდან პენსიაზეა. დედა — ალექსანდრა მიხეილის ასული დაბადებულია 1914 წელს.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

9 აგვისტო
ოთხშაბათი,
1961 წ.
№ 117 (1758)
გამოცემის მე-18 წელი.
ფასი 2 კაპ.


# მიენიჭათ საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის წოდება

წლების მანძილზე საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში უმწიკვლო მუშაობის, მაღალი კლასის სპორტსმენების მომზადებისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მუშაობისათვის საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა „საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის" წოდება მიანიჭა:

ვ. ა. ილურიძეს (ციდაობა, „ბურევესტნიკი"), ს. ვ. სიხარულიძეს (თბილისის განათლების განყოფილების სპეციალიზებული ბავშვთა სპორტული სკოლის უფროსი მწვრთნელი ფეხბურთში), პ. ა. გუმაშიანს („დინამო", ძალოსნობა), მ. ქ. ჟღენტს (საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ძალოსნობის კათედრის უფროსი მასწავლებელი), ვ. ს. ბასილაძეს („კოლმეურნე", ძალოსნობა), ი. ნ. სტეფანოვს („განთიადი", ველორბოლა), ა. ა. ნემსიწვერიძეს (ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებელი, საზოგადოებრივი მწვრთნელი ალპინიზმში).



საქართველოს დედაქალაქის მშრომელებმა გასულ ორშაბათს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს ჩვენი რესპუბლიკის ძვირფას სტუმრებს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკიდან, რომელსაც ხელმძღვანელობს ამ ქვეყნის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე გეორგე გეორგიუ-დეჟი. მოძმე რუმინეთის დელეგაცია ჩვენს ქვეყანაში იმყოფება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მთავრობის მოწვევით.

გუშინ სპორტის სასახლეში მოეწყო სტუმრების შეხვედრა დედაქალაქის მშრომელებთან. სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე, პროფესორი ე. ხარაძე და სხვები. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა გეორგე გეორგიუ-დეჟმა. ძვირფასი სტუმრის სიტყვა დამსწრე საზოგადოებამ უყურადღებით მოისმინა.

. . .

ამ სურათზე თქვენ ხედავთ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურს გეორგე გეორგიუ-დეჟს (მარჯვნივ) და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძეს, რომლებიც მიესალმებიან საქართველოს დედაქალაქის მშრომელებს.

# გადაწყვეტილება ძალაში დარჩა

როგორც ვიუწყებოდით, სსრ კავშირისა და უნგრეთის წყალბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვეს სტუმრებმა — 4:3. მატჩი ჩვენმა წყალბურთელებმა გააპროტესტეს. 7 აგვისტოს „იტალიის თასის" გათამაშების მსაჯთა კოლეგიამ პროტესტი განიხილა, მატჩის მსაჯი ნ. ნიკოლაესკუ მოხსნა გათამაშებიდან, მაგრამ შეხვედრის შედეგი ძალაში დარჩა.

# დეპეშა კიშინიოვიდან

აქ გრძელდება პროფტექგანათლების სასწავლებლების მეშვიდე საკავშირო სპარტაკიადა. 7 აგვისტოსათვის პირველ ჯგუფში შეჯიბრებას ლიდერობდნენ რსფსრ-ს სპორტსმენები. მეორე ჯგუფში წინ არიან საქართველოს წარმომადგენლები, რომლებსაც 6 ქულით მეტი აქვთ, ვიდრე ლატვიელებს — 127 ქულა. საქართველოს ფეხბურთელებმა ნახევარფინალურ ქვეჯგუფში დაამარცხეს ლატვია — 3:1 და უკრაინა — 1:0, კალათბურთელებმა მოუგეს სომხეთსა და უკრაინას, ფრენბურთელებმა — მოლდაველს. წყალბურთში ჩვენი რესპუბლიკის გუნდმა სძლია აზერბაიჯანს — 4:3, უკრაინას — 8:5, უზბეკეთს — 20:0. მძლეოსანთა შეჯიბრების ორი დღის შემდეგ ტექნიკურ სასწავლებლებს შორის ლიდერობს თბილისის მე-6 სასწავლებელი. ნ. [illegible]იძე ჩემპიონი გახდა ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში, ვ. სარიშვილიანმა მეორე ადგილი მოიპოვა 100 მეტრზე რბენასა და სიგრძეზე ხტომაში, ჯ. სულუხია მეორე იყო ვაჟთა შორის 100 მეტრზე რბენაში და მესამე—სიგრძეზე ხტომაში. რესპუბლიკის მოცურავეები ორი დღის შემდეგ მეხუთე ადგილზე არიან. ა. სანაძემ 100 მეტრზე ნებისმიერი სტილით ცურვაში დაიკავა მეორე ადგილი, ხოლო ვ. [illegible]ერეკაშვილმა 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში.

სპარტაკიადა გრძელდება.

ი. რუხაძე,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

# ლ. ასტალოშის ხსოვნისადმი

უნგრეთის საჭადრაკო ფედერაციამ ქალაქ დებრეცენში გამართა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი მიძღვნილი გამოჩენილი უნგრელი მოჭადრაკის ლაიოშ ასტალოშის ხსოვნისადმი. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს 8 ქვეყნის მოჭადრაკეებმა.

ბრძოლა დამთავრდა საბჭოთა გროსმაისტერის ბოლესლავსკისა და უნგრელი ოსტატის ჰააგის გამარჯვებით, რომლებმაც I-II ადგილები გაიყვეს 9,5 ქულით თვითეულმა. III ადგილი წილად ხვდა ბელორუსიის ჩემპიონს, ოსტატ [illegible]ეეტინს (9 ქულა).

# თბილისელებმა პარტიები მოიგეს

ბათუმი. (ჩვენი სპეც. კორ.). საბჭოთა კავშირის XXIX საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალის II ტურში თამაში ჩაებნენ ტურნირზე დაგვიანებით ჩამოსული ყირგიზეთის მოჭადრაკეები ოსტატი უსტინოვი და ოსტატობის კანდიდატი ანოშინი. უსტინოვი შეხვდა ბაგიროვს. პარტია თავიდან მისი უპირატესობით წარიმართა, მაგრამ შუა თამაში პასიური მანევრების გამო დაკარგა იგი. ახლა ბაგიროვმა იგდო ხელთ ინიციატივა, მოიგო პაიკი და პარტია მოსაგებ მდგომარეობაში გადადო. ანოშინი დამარცხდა ზახარიანთან, მიუხედავად იმისა, რომ მას ბევრად უკეთესი პარტია ჰქონდა.

ესპანური პარტიით დაიწყო გურგენიძე - გრუშევსკის შეხვედრა. მეთოდური თამაშით გურგენიძემ გამოავლინა ტაშკენტელი ოსტატის პოზიციაში შექმნილი სისუსტეები. მან გაცვალა რამდენიმე ფიგურა და „გაბატონდა" თეთრ უჯრებზე. უპირატესობის ტექნიკურად ზუსტი რეალიზაციით გურგენიძემ 43-ე სვლაზე გამარჯვებას მიაღწია.

მწვავე თამაშით აღინიშნა არაქელოვ-ბუსლაევის შეხვედრა. დასაწყისში ბაქოელმა ფიგურის შეწირვით ორ პაიკში პერსპექტიული თამაში მიიღო. ბუსლაევი დიდხანს იგერიებდა მუქარებს. ხელსაყრელ მომენტში მან მესამე პაიკიც მოიგო. არაქელოვი გაიტაცა მეფის დაშამათების იდეამ და მხედველობიდან გამორჩა მხედრის დაკარგვა. არაქელოვი დანებდა. ლომაიამ კარგ სტილში გაიმარჯვა მოსიონჟიკთან.

— ეს დაბოლოება არ მოიგება, —იყო საერთო აზრი ჰალილბეილი-პავლენკოს პარტიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, სადაც ჰალილბეილის ზედმეტი პაიკი ჰქონდა სხვადასხვა ფერის კუთა დაბოლოებაში. ოსტატმა მაინც სცადა შებრძოლებოდა თეორიას, მაგრამ ყაიმის მეტს ვერ მიაღწია.

როიზმანმა მოუგო კალანტარს, კლოვანმა — პრესს, ხოლო გიპსლის-ნეის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

II ტურის შემდეგ წინაა მინსკელი ოსტატი როიზმანი — 2 ქულა.

**ამხანაგო ფიზკულტურელებო, სპორტსმენებო და მწვრთნელებო, ავითვისოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტი, რომელშიც ნათლადაა ასახული ჩვენი ხვა-ლინდელი დღე—კომუნიზმი!**



თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკაში დიდი პოპულარობით სარგებლობს ტყვიით სროლა. საწარმოს მაღალი კლასის სპორტსმენებიც ჰყავს ამ სახეობაში.

ხურათზე: მოწინავე მკერავები, პირველთანრიგოსანი მსროლელები (მარცხნიდან) ა. ფილიევა, ნ. ჭანკვეტაძე, თ. ღრუბელაძე, მ. ჩხეტიანი და ი. კულუმბეგაშვილი საუბრობენ წვრთნის შემდეგ.

ფოტო ი. იუნაევიხა

# მოწინავეთა დაჯილდოება




ამას წინათ საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციებ ი ს კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი სპორტკავშირების რაიონულ საბჭოებს შორის 1960 წელს გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ. პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ გასულ წელს რაიონულმა საბჭოებმა მრავალი ღონისძიება ჩაატარეს მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შემდგომი ამაღლებისათვის. საბჭოების დიდმა ნაწილმა ვადამდე და დიდი გადაჭარბებით შეასრულა აღებული ვალდებულებანი, რითაც მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს შვიდწლიანი გეგმით დასახული ამოცანების გადაჭრისათვის ბრძოლაში.

1960 წელი განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს ზუგდიდის, მახარაძის, ჩოხატაურის, ლაგოდეხის, სიღნაღის, გეგეჭკორის, ახალქალაქის, ლანჩხუთის, წითელწყაროს, წყალტუბოს, სამტრედიისა და ტყიბულის რაიონების ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა. კერძოდ, ზუგდიდის რაიონში გეგმის გადამეტებით მომზადდა 1 სპორტის ოსტატი, 4 პირველი, 27 მეორე, 37 მესამე და 20 მოზარდი თანრიგოსანი სპორტსმენი, ამას გარდა, თითქმის დამთავრდა რაიონის ყველა ორგანიზაციაში ფიზკულტურული კოლექტივების შექმნის პროცესი და რაიონის მოსახლეობის 21,5 პროცენტი ჩაბმულ იქნა ფიზკულტურულ მოძრაობაში. წარმატებები ჰქონდა მახარაძის რაიონსაც, სადაც გეგმის გადამეტებით მომზადდა 2 სპორტის ოსტატი, 13 პირველთანრიგოსანი და საერთოდ ყველა თანრიგის სპორტსმენთა მომზადების გეგმა განაღდებულ იქნა 136,8 პროცენტით. რესპუბლიკის რაიონებს შორის მშთ ნიშნოსნებისა და სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადებაში ყველაზე მაღალი შედეგები ჰქონდათ ჩოხატაურის რაიონის ფიზკულტურელებს. ამ რაიონის ყოველმა ფიზკულტურელმა წლის განმავლობაში საშუალოდ 5 შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა. აღსანიშნავია ლაგოდეხის რაიონის წარმატებებიც: აქ მომზადებულ ყოველ საზოგადოებრივ ინსტრუქტორზე მოდის სპორტულ სექციებში გაერთიანებული 9 ფიზკულტურელი.

მოპოვებულ წარმატებებთან დაკავშირებით პრეზიდიუმმა დაადგი-
ნა: საქართველოს სსრ სპორტ-
საზოგადოებათა და ორგანიზაცი-
ბის კავშირის საბჭოს გარდამავა-
წითელი დროშები გადასცეს ზ-
გდიდის, ჩოხატაურის და მახა-
ძის სპორტულ საზოგადოებათა
ორგანიზაციების კავშირის რაიო-
ნულ საბჭოებს; საქართველოს სს-
სპორტულ საზოგადოებათა და ორ-
განიზაციების კავშირის საბჭ-
ალმებით დაჯილდოვდნენ: ლაგო-
დეხის, გეგეჭკორისა და სიღნაღ-
სპორტსაზოგადოებათა და ორგა-
ნიზაციების კავშირის რაიონუ-
საბჭოები; საქართველოს სსრ სპო-
რტულ საზოგადოებათა და ორგა-
ნიზაციების კავშირის საბჭოს
გელებით დაჯილდოვდნენ: ახალ-
ქალაქის, სამტრედიისა და ტყი-
ბულის სპორტულ საზოგადოებ-
და ორგანიზაციების კავშირის რა-
იონული საბჭოები.

# ქუთაისელებმა აიღეს ვალდებულებები

ამას წინათ ქუთაისის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების საქალაქო საბჭოს კავშირის მეორე პლენუმმა მოისმინა სპორტული საზოგადოებების საქალაქო საბჭოების თავმჯდომარეთა მოხსენებები და აღნიშნა, რომ სკკპ XXII ყრილობის შესახვედრად ქუთაისის საქალაქო სპორტკავშირის მეორე კონფერენციაზე აღებულ ვალდებულებათა შესასრულებლად ფიზკულტურულ ორგანიზაციებში დროულად გაიშალა მუშაობა. მიმდინარე წლის 6 თვეში წლიური გეგმის შესრულების შედეგები უმრავლეს სახეობებში დამაკმაყოფილებელია. ამასთან, პლენუმმა აღნიშნა მთელი რიგი ნაკლოვანებებიც ფიზკულტურულ-მასობრივ და სპორტულ მუშაობაში და დასახა ღონისძიებანი მათ აღმოსაფხვრელად.

ქალაქის ფიზკულტურული ორგანიზაციების სახელით პლენუმმა სკკპ XXII ყრილობის შესახვედრად აიღო ახალი, გადიდებული ვალდებულებები: პარტიის ყრილობის გახსნისათვის მომზადდეს — 12 სპორტის ოსტატი, 108 პირველთანრიგოსანი, 415 მეორეთანრიგოსანი, 1.760 მესამე და 951 მოზარდთა თანრიგოსანი; იმშთ — 850, მშთ I საფეხურის 716, მშთ II საფეხურის 1.403 ნიშნოსანი და 860 საზოგადოებრივი კადრი, გეგმის ზევით წლის ბოლომდე მომზადდეს — 3 სპორტის ოსტატი, 40 პირველთანრიგოსანი, 100 მეორეთანრიგოსანი, 200 მესამე და 100 მოზარდთა თანრიგოსანი, 130 მშთ I საფეხურის, 150 მშთ II საფეხურისა და 100 იმშთ ნიშნოსანი.

პლენუმმა მოიწონა საქართველოს სპორტკავშირის VII პლენუმის დადგენილებანი და ქალაქის ყველა ფიზკულტურული ორგანიზაციის სახელით ვალდებულება აიღო, რათა ქალაქში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების შვიდწლიანი გეგმები ყველა სახეობის მიხედვით შესრულდეს 6 წელიწადში. სახელდობრ, ამ ხნის მანძილზე მომზადდება: 121 სპორტის ოსტატი, 1.320 პირველთანრიგოსანი, 3.990 მეორეთანრიგოსანი, 15.900 მესამე და 7.100 მოზარდთა თანრიგოსანი, მშთ I საფეხურის 5.982, II საფეხურის 8529, იმშთ 6346 ნიშნოსანი, აგრეთვე 14.100 საზოგადოებრივი კადრი. ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გადააჭარბებს გეგმას.

პლენუმმა ვალდებულება აიღო სკკპ XXII ყრილობის გახსნასთან დაკავშირებით ფიზკულტურის კოლექტივები ორგანიზებულად განმტკიცდეს ისე, რომ თვითეული მათგანი აქტიურად მოქმედი იყოს. ამასთან დაკავშირებით, წლის ბოლომდე მუშა-მოსამსახურეები ჩაბმული იქნებიან სისტემატურ მეცადინეობაში 65 პროცენტით, უმაღლეს, საშუალო სპეციალური განათლების და შრომითი რეზერვების სასწავლებლების მოსწავლეთაგან ფიზკულტურული სექციების სისტემატურ მეცადინეობაში ჩაბმული იქნება 90 პროცენტი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ყველა მოსწავლე ჩაებმება სისტემატურ ფიზკულტურულ მეცადინეობაში, შეიქმნება ორი სპორტული კლუბი — ქუთაისის საავტომობილო ქარხანასა და ქუთაისის სამთამადნო ტექნიკუმში. საწარმოო ტანვარჯიშში ჩაებმება 15.000 მუშა-მოსამსახურე. დილის ცვლის ყველა მოსწავლე ჩაებმება დილის გამამხნევებელი ვარჯიშების მეცადინეობაში, ხოლო მეორე ცვლის მოსწავლეთა შორის ჩატარდება ფიზკულტურული პაუზები. ტურისტულ მეცადინეობაში გაერთიანდება 10.777 მუშა-მოსამსახურე, სტუდენტი, მოსწავლე და პენსიონერი, ე. ი. მოსახლეობის 12 პროცენტზე მეტი, ჩატარდება სკკპ XXII ყრილობისადმი მიძღვნილი საშემოდგომო კროსი ქალაქის ყველა ფიზკულტურული ორგანიზაციის მონაწილეობით, არანაკლებ 20.000 კაცისა. ამას გარდა, ქუთაისელებმა ივალდებულეს ცურვის პოპულარიზაცია მოსწავლეთა შორის და ქალაქის ფიზკულტურული ორგანიზაციების საშეფო მუშაობის გაძლიერება სოფლად, ფიზკულტურის იმ ინსტრუქტორ-მასწავლებლებისა და მწვრთნელების ჩაბმა დაუსწრებელ სწავლებაში და მწვრთნელთა სკოლებში, რომლებსაც არა აქვთ სპეციალური განათლება, ახალი სპორტული ბაზების შექმნა და ა. შ. ამ ვალდებულებათა შესრულების საქმეში მათ სოცშეჯიბრში გამოიწვიეს ლატვიის სსრ დედაქალაქი რიგა და ესტონეთის სსრ დედაქალაქი ტალინი.

## ახალ კოლექტივში

დიდი ხნის ისტორია არა აქ-
ცეკავშირის ქუთაისის კოო-
რაციულ ტექნიკუმს (დირექტ-
შ. ხუჯაძე), მაგრამ აქ უკვე სათ-
დო ავტორიტეტი მოიპოვა ფ-
კულტურამ და სპორტმა, რომ-
საც ამ საქმის ენთუზიასტი ნ.
ნელიძე ხელმძღვანელობს. ტე-
კუმში შექმნილია ფრენბურ-
კალათბურთის, მაგიდის ჩოგბ-
თის, ჭადრაკისა და სხვა სახე-
თა სექციები. მოსწავლეთა გან-
გულებაშია სპორტული ბაზები,
თანადო რაოდენობის ინვენტ-
აქაურმა სპორტსმენებმა ვაჭ-
ბის მუშაკთა საქალაქო სპორტ-
დაზე პირველი ადგილები მოი-
ვეს კალათბურთსა და მაგი-
ჩოგბურთში, ხოლო კომპლე-
ჩათვლაში მეორე ადგილზე გ-
ვიდნენ.

ტექნიკუმის ფიზკულტურუ-
ლექტივს განზრახული აქვს უ-
უკეთესად იმუშაოს ახალი სა-
ლო წლიდან, მაღალი მაჩვენებ-
ბი მოიპოვოს სწავლასა და სპო-
ში.

ი. ბუხა-



თბილისის ქარხანა „გაზაპარატის" საამქროებში შესვენების დრ-
სისტემატურად ტარდება საწარმოო ტანვარჯიშში.
ხურათზე: ქურების ამწყობ საამქროში.

ფოტო ვ. გოგაძის

## უკეთ მოვაწყოთ მშრომელთა აქტიური დასვენება.

ამ საქმისათვის უნარიანად გამოვიყენოთ დასვენების დღეები და სამუშაოსაგან თავისუფალი საათები!

## სპარტაკიადამ გამოავლინა თანრიგოსნები

ამ დღეებში ჩატარდა ხაშურის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე პიონერთა ბანაკების რაიონული სპარტაკიადა მძლეოსნობაში, ფრენბურთში, კალათბურთში და მაგიდის ჩოგბურთში. პირველი ადგილები სახეობათა მიხედვით დაიკავეს: მძლეოსნობაში—რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სურამის პიონერთა ბანაკის გუნდმა, ფრენბურთში — კვების მრეწველობის პროფკავშირის სურამის პიონერთა ბანაკის ჭაბუკთა და გოგონათა გუნდებმა, კალათბურთში — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სურამის პიონერთა ბანაკის ჭაბუკთა გუნდმა, გოგონებს შორის— კვების მრეწველობის სურამის პიონერთა ბანაკის გუნდმა, მაგიდის ჩოგბურთში — კულტურის პროფკავშირის ტაშისკარის პიონერთა ბანაკის ჩოგბურთელებმა,

საერთო გუნდურ ჩათვლაში ადგილები განაწილდა შემდეგნაირად: I ადგილი მოიპოვა კვების მრეწველობის პროფკავშირის სურამის პიონერთა ბანაკის კოლექტივმა, II ადგილი — კულტურის პროფკავშირის ტაშისკარის პიონერთა ბანაკმა, III ადგილი — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სურამის პიონერთა ბანაკმა.

სპარტაკიადაში მონაწილეობა მიიღო 14 პიონერთა ბანაკის 628 პიონერმა.

გამოვლინდა თანრიგოსნები მძლეოსნობაში. 36 პიონერმა შეასრულა მოზარდთა I და II თანრიგის ნორმატივი, ხოლო ე. არისტახოვამ სიგრძეზე ხტომაში შედეგით 4 მ 69 სმ, შეასრულა მესამე თანრიგი.

ნორჩ პიონერთა საბანაკთაშორისო სპარტაკიადა რაიონის სპორტკავშირმა (თავმჯდომარე ქ. ხვედელიანი) ორგანიზებულად ჩაატარა.

**შ. ხამადაშვილი**





## ლისის ტბაზე

ჩვენი დედაქალაქის გარშემო დასვენების მრავალი შესანიშნავი ადგილია. ყოველ შაბათსა და კვირას ათასობით თბილისელი მშრომელი მიემართება ქალაქის გარეუბნებში დასვენების დღის გასატარებლად. ერთნი ტურისტულ-ლაშქრობაზე მიემართებიან, მეორენი — ფუნიკულორზე, მესამენი კი თბილისის ზღვაზე, ლისის ტბაზე და სხვ. ლისის ტბაზე საკმარისი პირობებია შექმნილი, რომ აქ მოსულმა თბილისელმა კარგად და შინაარსიანად გაატაროს თავისუფალი დრო. აქ, ტბის სანაპიროზე, ზაფხულის პერიოდში მრავალი მშრომელი იკაუებს სხეულს. ამ სურათებზე თქვენ ხედავთ, როგორ ერთობიან და ისვენებენ თბილისელები ლისის ტბის სანაპიროზე: ახალგაზრდებმა ამჯერად ტბაში ბანაობას ფრენბურთის თამაში არჩიეს (ეს მომენტი ზემოთა სურათზე მარჯვნივ არის აღბეჭდილი), ამ პატარებმა კი უპელაფერს თევზაობა ამჯობინეს (ზემოთ — მარცხნივ). ხედავთ მათ გახარებულ სახეებს? ხუმრობა ხომ არაა, ხელში პირველი „ნადავლი" უჭირავთ. ქვემოთა სურათზე კი ბანაობასა და მზეზე გაფიცხებას „მობეზრებული" ახალგაზრდები არიან აღბეჭდილი. რომელი მოჭიდავე გაიმარჯვებს, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, კვირა დღე კარგად გაატარონ, გაიკაჟონ სხეული და შემდეგ ისევ მშობლიურ თბილისში ჯანღონით სავსენი დაუბრუნდნენ ქარხნებსა და ფაბრიკებს, მშენებლობებსა და დაწესებულებებს.

ფოტო ი. იუნაევისა



## პრეს-ცენტრისა და კორესპონდენტთა მომსახურების შესახებ

★

**სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმში**

★

ამას წინათ სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი სპორტულ შეჯიბრებებზე კორესპონდენტთა მომსახურების გაუმჯობესების შესახებ. ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაში აღნიშნულია:

რესპუბლიკის, სამხარეო, საოლქო და საქალაქო სპორტკავშირებს უფლება ეძლევათ გასცენ მუდმივი საშვები სპორტული პრესის, რადიოსა და ტელევიზიის კორესპონდენტთა სახელზე. საშვები მიეცემა მხოლოდ იმ კორესპონდენტებს და ფოტორეპორტიორებს, რომლებიც უშუალოდ აშუქებენ შეჯიბრებას სპორტის ამა თუ იმ სახეობაში.

სპორტულ ნაგებობათა დირექტორებს დაევალათ პრესისათვის სპეციალური ადგილების გამოყოფა. იგი უნდა იყოს კეთილმოწყობილი ყოველმხრივ, კორესპონდენტებს თავიანთ განკარგულებაში უნდა ჰქონდეთ მაყურებლებისაგან გამოყოფილი, სამსაჯო ოთახებთან და სპორტსმენთა გასახდელებთან ახლო მყოფი სამუშაო ადგილი ტელეფონით. შეჯიბრებათა მსვლელობის პროცესში კორესპონდენტებს უნდა დაეთმოთ საქალაქთაშორისო და ადგილობრივი ტელეფონები.

სპორტული ფედერაციები (სექციები) და მსაჯთა კოლეგიები ვალდებული არიან დროულად გადასცენ კორესპონდენტებს შეჯიბრებათა ოქმების ასლები და ყოველგვარი ცნობები სპორტსმენებსა და გუნდებზე. სისტემატურად უნდა მოეწყოს პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკთა შეხვედრა შეჯიბრებათა მონაწილეებთან, გუნდების ხელმძღვანელებთან, მწვრთნელებთან და მსაჯებთან. საბჭოთა და საზღვარგარეთის ყველა აკრედიტებულ კორესპონდენტს დროულად უნდა მიეცეს შეჯიბრებათა პროგრამა, ბიულეტენები და სხვა საჭირო მასალა.

სპორტული პრესის, რადიოსა და ტელეხედვის ფედერაციას (სექციას) ევალება თავისი აქტივიდან შექმნას პრეს-ბიურო (დიდი მასშტაბის შეჯიბრებათა მსვლელობის დროს). პრეს-ბიუროს ხელმძღვანელები უნდა შეიყვანონ შეჯიბრების ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობაში.

• • •

რას წარმოადგენს პრეს-ცენტრი და რა მიზანს ემსახურება იგი? იგი იქმნება კორესპონდენტთა უკეთ მომსახურების მიზნით მსხვილ სპორტულ შეჯიბრებებზე (სპარტაკიადები, საკავშირო და რესპუბლიკური ჩემპიონატები, ევროპისა და მსოფლიოს პირველობები, საერთაშორისო შეხვედრები).

პრეს-ცენტრის შექმნის საკითხს წყვეტს სპორტული პრესისა და რადიოს ფედერაციის პრეზიდიუმი სპორტული ფედერაციის პრეზიდიუმისა და საორგანიზაციო კომიტეტთან ერთად. პრეს-ცენტრი კომპლექტდება სპორტული ჟურნალისტების, მსაჯების, თარჯიმნებისა და იმ პირთაგან, რომლებიც ემსახურებიან შეჯიბრებას. პრეს-ცენტრის ხელმძღვანელად ინიშნება სპორტული პრესისა და რადიოს, ან შეჯიბრების ჩამტარებელი ფედერაციების წარმომადგენელი. პრეს-ცენტრის თანამშრომლებს ეძლევათ სასამსახურო საშვი შეჯიბრების ადგილზე და სამსაჯო ოთახებში შესვლის უფლებით.

საორგანიზაციო კომიტეტი და მსაჯთა კოლეგია ოპერატულად უზრუნველყოფენ პრეს-ცენტრს საჭირო ინფორმაციებით როგორც შეჯიბრების დაწყებამდე, ისე მისი მსვლელობის დროს. იგი ამავე დროს იძლევა ყოველგვარ მონაცემებს სპორტსმენებზე, გუნდებზე, აგრეთვე პროგრამათა საჭირო რაოდენობას და სამახსოვრო ნიშნებს. საორგანიზაციო კომიტეტი პრეს-ცენტრისათვის გამოჰყოფს საბეჭდ მანქანებს, გასამრავლებელ აპარატებს, ქაღალდს, ბლოკნოტებს და საკანცელარიო ნივთებს

სპორტულ ნაგებობათა დირექცია ვალდებულია პრეს-ცენტრს გამოუყოს მისთვის საჭირო სამუშაო ოთახების რაოდენობა (საკორესპონდენტო, პრეს-ბიურო, სამანქანო ბიურო, ცნობათა ბიურო), სპეციალური ყუთები ბიულეტენების დასაწყობად, ფარები განცხადებებისათვის, აგრეთვე ადგილობრივი და საქალაქთაშორისო სატელეფონო ლაპარაკისათვის საჭირო პუნქტი.

პრეს-ცენტრი აწარმოებს კორესპონდენტთა აკრედიტაციას წინასწარი განაცხადების მიხედვით. ასეთი განაცხადები პრეს-ცენტრს უნდა წარედგინოს შეჯიბრების დაწყებამდე არა უგვიანეს ერთი თვისა.



თბილისში იმყოფებიან ახალგაზრდობის მსოფლიო საერთაშორისო ფორუმის მონაწილენი სხვადასხვა ქვეყნიდან.

ხურათზე: სამხრეთ ამერიკელი ახალგაზრდები და დედაქალაქის სტალინის რაიონის პიონერები შეხვედრაზე.

ფოტო ა. ვართანოვისა.

# 33 კანდიდატი

ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობამ გამოაქვეყნა 33 ფეხბურთელის სია, რომლებიც ამიერიდან ოფიციალურად ითვლებიან მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის კანდიდატებად.

**მეკარეები:** ჟილმარი, კასტილიო, ვალდირი.

**მცველები:** ჯალმა სანტოსი, ნილტონ სანტოსი, დე სორდი, ბელინი, მაურო, ჯალმა, ჟორჟე, ჯერალდო, ივანი.

**ნახევარმცველები:** ზიტო, ამარო, ზაკვინიო, ფორმიგა, ზიზიმო, კალვეტი.

**თავდასხმა:** გარინჩა, დორვალი, ჟილდი, დიდი, ქერსონი, მენგალვიო, კუტინიო, ჰენრიკე, კვარანტინა, პელე, ამარილდო, ჩინეზინიო, პეპე, კონპოტეირო, ნილო.

მოსალოდნელია ერთგვარი ცვლილებებიც. ახალ ნაკრებში 8 ფეხბურთელი იქნა შეყვანილი „სანტოსიდან“, რომელიც „მაქსიმალურ ტურნირში“ დაბალი შედეგის (V ადგილი) მიუხედავად მაინც მიაჩნიათ უძლიერეს გუნდად ბრაზილიაში.

როგორც ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, ეს შემადგენლობა საორიენტაციოა. საწვრთნელ შეკრებათა შემდეგ დადგინდება გუნდი, რომელიც ჩილში გაემგზავრება. „ნაკრების ვერცერთი კანდიდატი იმედს ვერ იქონიებს, რომ იგი აუცილებლად გაემგზავრება ჩილში. ერთადერთი აუცილებელი პრეტენდენტია პელე, დანარჩენებმა კი კიდევ უნდა დაამტკიცონ თავიანთი ძალა“, — განაცხადა მწვრთნელმა მორეირამ.



# ფეხბურთის კალეიდოსკოპი

## თასის ფინალი — ინგლისში

მიმდინარე წლის ოქტომბერში სრულდება ინგლისის ფეხბურთის 100 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით ფეხბურთის ინგლისის ნაციონალურმა ფედერაციამ სთხოვა ფეხბურთის ევროპის ფედერაციას: ინგლისში ჩაატარონ ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალური შეხვედრები. ინგლისელთა ეს წინადადება მიღებულ იქნა.

## გათამაშების ცხრილი

### პირველი ათეული

მდგომარეობა 9 აგვისტოსათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 19 | 13 | 3 | 3 | 54:25 | 29 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 18 | 14 | 1 | 3 | 45:19 | 29 |
| „დინამო“ (კიევი) | 19 | 11 | 5 | 3 | 36:18 | 27 |
| „ავანგარდი“ (ხარკოვი) | 19 | 10 | 6 | 3 | 21:13 | 26 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 19 | 9 | 7 | 3 | 34:22 | 25 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 19 | 9 | 5 | 5 | 35:20 | 23 |
| „დინამო“ (თბილისი) | 19 | 9 | 5 | 5 | 33:22 | 23 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 20 | 9 | 5 | 6 | 30:33 | 23 |
| სკა (როსტოვი) | 18 | 9 | 4 | 5 | 37:17 | 22 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 19 | 8 | 5 | 6 | 33:27 | 21 |

ხშირად გვსმენია ქუთაისელი სპორტის მოყვარულებისაგან სამართლიანი საყვედური: „ქალაქში არა გვაქვს სპორტული საქონლის მაღაზია, სპორტული ინვენტარის შესაძენად რესპუბლიკის სხვა ქალაქებში დავდივართ“. გავიდა კარგა ხანი და ქუთაისელებმა მიიღეს ახალი და კეთილმოწყობილი სპორტული მაღაზია. აქ თქვენ ყველაფერს ნახავთ: ბურთებს, ველოსაბურავებს, სათევზაო მოწყობილობას, ჰანტელებს, მაგიდის ჩოგბურთის ჩოგნებს და სხვ.

**სურათზე:** მარცხნივ — სპორტული საქონლის მაღაზია, რომელიც ამას წინათ გაიხსნა ქუთაისში, მარჯვნივ — მაღაზიის გამყიდველი ზ. წვერავა მომხმარებელს ეხმარება ინვენტარის შერჩევაში.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.








ჩვენი გაზეთის მკითხველი რ. ჩხაიძე ლანჩხუთიდან გვწერს: „ამას წინათ წავიკითხე თ. პრესის ფენომენალური შედეგის — 57 მ 43 სმ შესახებ ბადროს ტყორცნაში. მაინტერესებს, როგორ ვითარდებოდა მსოფლიო რეკორდი ამ სახეობაში“.

პირველი ოფიციალური მსოფლიო რეკორდი ქალთა შორის ბადროს ტყორცნაში ეკუთვნოდა გერმანელ გ. მაუერმაიერს და დამყარებულ იქნა 1936 წელს — 48 მ 31 სმ. ერთი წლის შემდეგ საბჭოთა სპორტსმენმა ნ. დუმბაძემ დაამყარა საკავშირო რეკორდი — 47 მ 51 სმ და 1939 წელს იგი 49,11 მეტრამდე აიყვანა. მას 1952 წლამდე ხელიდან არ გაუშვია მსოფლიო რეკორდი. ამ დროისათვის მისი შედეგი უდრიდა 53 მ 37 სმ-ს. ამ წელს ნ. პონომარიოვამ ბადრო ტყორცნა 24 სმ-ით შორს, მაგრამ მისმა მსოფლიო რეკორდმა მხოლოდ ორ თვეს გაძლო. ოქტომბერში ნ. დუმბაძის მიერ ნატყორცნი ბადრო დაეცა 57,04 მეტრზე. ეს შედეგი 8 წელიწადს იყო უცვლელი და მხოლოდ შარშან შეძლო რომის ოლიმპიური თამაშების შემდეგ რომში თ. პრესმა ამ შედეგის 8 სმ-ით გაუმჯობესება. აშშ-სსრ კავშირის მატჩზე თ. პრესმა დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი — 57 მ 43 სმ.

• • •

მესტიის რაიონის სოფ. ჰუბერის საშუალო სკოლის მოსწავლეებს რეზო მიქიანსა და იაგორ ანსიანს აინტერესებთ:

1. ჰყავს თუ არა ამერიკის შეერთებულ შტატებს ფეხბურთელთა გუნდი და თუ მიიღებს იგი მონაწილეობას 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატში?

2. ვინ ითვლება უძლიერეს ფეხბურთელად მსოფლიოში და ევროპაში?

პირველ კითხვაზე პასუხის გაცემა იოლია. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ფეხბურთი არაა კულტივირებული ისე, როგორც ევროპაში ან სამხრეთ ამერიკაში, აქ მაინც მისდევენ მას (განსაკუთრებით სამხრეთ შტატებში) და ჰყავთ ე. წ. ეროვნული ნაკრებიც. მაგრამ 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ამერიკელები მონაწილეობას ვეღარ მიიღებენ იმის გამო, რომ მათ უკვე განიცადეს მარცხი შესარჩევ ქვეჯგუფში მექსიკის გუნდთან. მართალია, ერთი მატჩი დამთავრდა ფრედ — 3:3, მაგრამ მეორე შეხვედრა მექსიკელებმა მოიგეს ანგარიშით 3:0 და გამოთიშეს აშშ-ს ნაკრები გათამაშებიდან.

რაც შეეხება მეორე შეკითხვას, აქ ობიექტური პასუხის გაცემა შეუძლებელია და ამის შესახებ ჩვენ ერთხელ უკვე ვილაპარაკეთ ჩვენი „კითხვა-პასუხის“ განყოფილებაში. უძლიერესი ფეხბურთელის შეფასება ესაა წმინდა სუბიექტური შეხედულება, რომელიც არ შეიძლება მოახვიო თავს მკითხველს. როგორ გგონიათ თქვენ, ვინ უფრო ძლიერად თამაშობს ევროპაში — რაიმონ კოპა თუ დი სტეფანო? ვინაა უფრო ძლიერი — პელე თუ დიდი? ფეხბურთის უცხოელი სპეციალისტების უმრავლესობას მსოფლიოში დღეისათვის საუკეთესო ფეხბურთელად მიაჩნია პელე. ევროპის ფეხბურთელთა შეფასებაში ასეთ, თუნდაც შედარებით ერთსულოვნებას ადგილი არა აქვს.

დაბოლოს, რ. მიქიანსა და ი. ანსიანს წაუკითხიათ წერილი, სადაც მოთხრობილია ძველი დროის შესანიშნავი ამერიკელი სპორტსმენის ტომით ინდიელი ჯიმ ტორპეს თავგადასავალი. მათ აინტერესებთ, თუ როგორ შეძლო ჯიმ ტორპემ ერთი მატჩის განმავლობაში 22 გოლის გატანა.

ჯიმ ტორპე, მართალია, თამაშობდა ფეხბურთს, მაგრამ არა იმ ევროპულ ფეხბურთს, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ. ესაა ე. წ. ამერიკული ფეხბურთი, სადაც გატანილი გოლების სულ სხვა ჩათვლაა და ისეთ მოთამაშეს, როგორიც იყო ჯიმ ტორპე, შეეძლო მათი რაოდენობა აეყვანა 22-მდე.

* * *

მძლეოსნობის სახეობათა შორის ყველაზე მეტად მიტაცებს მარათონული რბენა. გთხოვთ მიპასუხოთ, როდის ჩატარდა ჩვენი ქვეყნის პირველობა და ვინ გაიმარჯვა, რას უდრის ოსტატის ნორმა ამჟამად? — გვეკითხება თბილისელი ი. ძიგუა.

საკავშირო შეჯიბრება მარათონულ რბენაში პირველად 1923 წელს გაიმართა. მაშინ გაიმარჯვა გორკელმა სპორტსმენმა ნ. ლავროვმა, რომელმაც 42 კმ 200 მ გაირბინა 2 საათსა და 36.49,8 წამში. ახალი კლასიფიკაციით ოსტატობის მოსაპოვებლად მორბენალმა დისტანცია უნდა დაფაროს 2 საათსა და 25 წუთში.

• • •

ზღვაზე შეკრებილ ბიჭებს ხშირად გვაქვს დავა სპორტული ცურვის სახეობათა შესახებ, მაგრამ დღემდე ვერ შევთანხმდით რა სახეობებია ცურვაში. გთხოვთ გვიპასუხოთ. — გვწერს ქობულეთელი ი. მანელიშვილი.

სპორტული ცურვა იცნობს ოთხ სახეობას- თავისუფალი, ზურგზე, ბრასისა და ბატერფლაის ანუ დელფინის სტილით ცურვას.

* * *

რამდენი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს ცნობილი ავსტრალიელი მწვრთნელის პ. ჩერუტის აღზრდილებმა, ვინ არიან ისინი და რა მაჩვენებლები აქვთ ოლიმპიურ თამაშებზე? — გვეკითხებიან მახარაძელი ი. ერქომაიშვილი და ზუგდიდელი მოსწავლე ა. ხორავა.

პ. ჩერუტის ხუთმა აღზრდილ... 9-ჯერ შეიტანეს შესწორება მძლ... ოსნობაში მსოფლიო რეკორდებ... ცხრილში. მათ შორის ჰ. ელიო... მა რომის ოლიმპიადაზე პირვე... ადგილი მოიპოვა 1500 მეტ... რბენაში — 3.35,6; ნ. ფრიმ... მეორე იყო 20 კმ სპორტულ ს... რულში — 1:34.16,4; ბ. ჯო... მესამე ადგილი მოიპოვა 800 მე... ტრზე რბენაში ქალთა შორ... 2.05,7. დ. პაუერმა — ბრინჯ... მედალი მოიგო 10.000 მეტ... რბენაში 28.38,2. ჩერუტის აღ... დილია 5000 მ რბენაში გამარჯ... ბული მ. ჰელბერგიც (ახალი ზ... ლანდია) — 13.43,4.

* * *

საიალქნო სპორტის მოყვარუ... სოხუმელ ი. ავიძბას აინტერესებ... ვინ არის ყველაზე მეტი ოლიმპიუ... რი მედლის მფლობელი საიალქნ... სპორტში?

პ. ელვსტრემი (დანია), რომელ... მაც „ფინის“ კლასის ნავებით შ... ჯიბრებაში ზედიზედ გაიმარჯ... ოთხ ოლიმპიადაში — 1948, 1952, 1956 და 1960 წლებში.

რედაქტორი ი. უგულავა

10 აგვისტო




„ბურევესტნიკის“ სტადიონი

„დინამო“ (თბილისი) —

„ნეფტიანიკი“ (ბაქო)

დასაწყისი 18 ს. 30 წ.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 04026